



დამტკიცებულია:  
/ოსებ კაჭახიძე/  
11.05.2016 წელი

### შპს "ქუთაისის სამედიცინო სკოლის" ბიბლიოთეკის წესდება

ბიბლიოთეკა არის სკოლის ძირითადი სტრუქტურულ ერთეული, ბიბლიოთეკის მიზანია-პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა-ანალიზი, ამ მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება. ბიბლიოთეკას განაგებს ბიბლიოთეკარი, რომლის მოვალეობაა:

ა) სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან კავშირის დამყარება და ბიბლიოთეკის თანამედროვე წიგნებით შევსებაზე ზრუნვა.

ბ) ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვა, ელექტრონული კატალოგის შექმნა და წარმოება;

გ) ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიოთეკაში გაწევრიანების შემდეგ;

დ) პროფესიული სტუდენტთა მიერ წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვა.

ე) წიგნების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისათვის სკოლის მიერ დაწესებული ჯარიმის ღირებულების გადახდევინება (პროფესიულმა სტუდენტმა ბუღალტერიაში უნდა წარმოადგინოს ჯარიმის გადახდის ქვითარი).

ვ) რექტორთან შეთანხმებით: – საჭირო წიგნებისა და სახელმძღვანელოების დროულად გამოწერა, შექმნა; – საგანში სასწავლო მასალების გასამრავლებლად პროფესიული სტუდენტებისაგან და პროფესიული მასწავლებლებისგან შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება; – მათთვის გამრავლებული მასალების დროულად მიწოდება. ბიბლიოთეკის მისამართია: ქუთაისი, მ. დვალის ქ. 13;

ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი: ბიბლიოთეკა მუშაობს 5 დღე კვირაში ,ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით : დილის 10.00-სთ-დან – 18.00-მდე.

ბიბლიოთეკით სარგებლობა: წიგნების გატანა და დაბრუნება: – წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი. სპროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით. უპირატესად გაიცემა დაქსეროქსებული ეგზემპლარი, თუკი ასეთი არსებობს. – სალექციო მასალები, ჟურნალები, წიგნები და სხვა მსგავსი, რომელიც პროფესიულ პედაგოგს დაჯავშნული აქვს ლექციისათვის და განკუთვნილია იმ სემესტრში სტუდენტების მოხმარებისთვის, ბიბლიოთეკიდან შეიძლება გატანილ იქნას მხოლოდ 24 სთ-ით. ბიბლიოთეკაში სტუდენტს აქვს საშუალება ისარგებლოს კომპიუტერით, ინტერნეტით, სკანერით და პრინტერით.

ბიბლიოთეკაში ქვევის წესები:– პროფესიული სტუდენტებისადმი თხოვნაა, ბიბლიოთეკის სათანადო მუშაობისთვის და კოლეჯის კეთილდღეობისთვის, გაითვალისწინონ შემდეგი: – წიგნის გამოყენების შემდეგ დაუშვებელია მისი თვითნებურად თაროზე დადება, წიგნი უნდა მიუბრუნოთ ბიბლიოთეკარს: წიგნს აქვს სპეციალური ნომერი, და ბიბლიოთეკის თანამშრომელი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე. – წიგნის თქვენთვის გადანახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართეთ ბიბლიოთეკარს. – პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ უფლება ისადილონ ბიბლიოთეკაში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან სასმელის თან ქონა. ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია: – მოწევა, – ხმაური და საუბარი. – მობილური ტელეფონების გამოყენება. – წიგნის არასწორად დადება, მისი დამალვის, ანუ სხვა სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელის შეშლის მიზნით. – წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა.